საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2021 წ. - 31.12.2021 წ.)

ხულო

2022 წელი

აუდიტის ობიექტი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერია

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, ტბელ აბუსერიძის №1

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 იანვრის № **პ/10168988** ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის ჯგუფი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე, სამსახურის უფროსი სპეციალისტი სოფიკო ქონიაძე.

აუდიტის პერიოდი - 01.01.2021 წელი – 31.12.2021 წელი

პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა **18 050 011** ლარი. ბიუჯეტის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი **96,27** %-ია.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის საწყისი ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებით 13 008 200 ლარზე. ბიუჯეტმა 2021 წლის განმავლობაში ცვლილება განხორციელდა6-ჯერ:

1. ბიუჯეტში პირველი ცვლილება შევიდა 2021 წლის 29 იანვარს (დადგენილება №3), არსებული ბიუჯეტი არ გაზრდილა თანხა გადანაწილდა მუხლებს შორის.
2. ბიუჯეტში მეორე ცვლილება შევიდა 2021 წლის 25 თებერვალი (დადგენილება №4). არსებული ბიუჯეტი გაიზარდა 45 323 ლარით და გახდა 13 053 523 ლარი.
3. ბიუჯეტში მესამე ცვლილება შევიდა 2021 წლის 24 ივნისი (დადგენილება №8), არსებული ბიუჯეტი გაიზარდა 2 948 740 ლარით და გახდა 16 002 263 ლარი..
4. ბიუჯეტში მეოთხე ცვლილება შევიდა 2021 წლის 29 ივლისი (დადგენილება №9), არსებული ბიუჯეტი გაიზარდა 190 090 ლარით და გახდა 16 192 353 ლარი.
5. ბიუჯეტში მეხუთე ცვლილება შევიდა 2021 წლის 18 ნოემბერი (დადგენილება №11), არსებული ბიუჯეტი არ გაზრდილა თანხა გადანაწილდა მუხლებს შორის.
6. ბიუჯეტში მეექვსე ცვლილება შევიდა 2021 წლის 27 დეკემბერი (დადგენილება №13), ბიუჯეტი გაიზარდა 56 451 ლარით და გახდა 16 248 804 ლარი.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის (გარდა ა(ა)იპ-ებისა) 2021 წლის ხარჯების მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

2021 წლის მთლიანი ხარჯების დამტკიცებული გეგმა შეადგენს 11 660 579 ლარ დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 14 161 188 ლარს. საკასო ხარჯმა შეადგინა 13 482 5 ლარი. სხვაობა დაზუსტებულ ხარჯსა და საკასო ხარჯს შორის შეადგენს 678 594 ლარს.

- 2021 წლის შრომის ანაზღაურება გეგმით გათვალისწინებული იყო 1 638 4 ლარის ასიგნება, დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 1 638 415 ლარს, გაწეულია საკა ხარჯი 1 631 808 ლარი, სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის არის 607ლარი.
- საქონელი და მომსახურება მუხლით დაგეგმილი იყო 1 273 316 ლა დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 1 234 228, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 217 449 ლა სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის შეადგენს 16 779 ლარს.
- სოციალური უზრუნველყოფის მუხლი დამტკიცებული გეგმა შეადგე 951 481 ლარს, ხოლო დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 1 041 921 ლ საკასო ხარჯმა შეადგინა 1 041 799 ლარი. სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხა შორის შეადგენს 122 ლარს.
- სხვა ხარჯების მუხლში დაგეგმილი იყო 963 933 ლარი, დაზუსტებ გეგმით 3 326 090 საკასო ხარჯმა შეადგინა 3 322 850 ლარი. სხვაობა საკასო ხარჯს დაზუსტებულ გეგმას შორის შეადგენს 3240 ლარს.

- არაფინანსური აქტივების მუხლით 2021 წელში დაგეგმილი იყო 6 613 434 ლარი, დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენს 7 700 534 ლარს, გაწეულია საკასო ხარჯი 7 048 691 ლარი.სხვაობა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის შეადგენს 435 257 ლარს.

საშტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის აუდიტი:

2021 წელს შტათით მომუშავეთა რიცხოვნება იყო 119, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა 19.

სახელმწიფო შესყიდვები

2021 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი თავდაპირველად შეადგენდა **13,008 200.00 (ცამეტი მილიონ რვათას ორასი)** ლარს, ხოლო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა **5,140 440.00 (ხუთი მილიონ ასორმოციათას ოთხასორმოცი)** ლარს.

2021 წლის ,,დაზუსტებული" ადგილობრივი ბიუჯეტი საბოლოოდ განისაზღვრა **18, 749 413.00 (თვრამეტიმილიონ შვიდასორმოცდაცხრაათას ოთხასცამეტი)** ლარით, ხოლო შესყიდვების გეგმის ჯამურმა თანხამ საბოლოოდ შეადგენდა **9, 014 570.00 (ცხრა მილიონ თოთხმეტიათას ხუთასსამოცდაათი)** ლარი, ორწლიანი შესყიდვების ჩათვლით.

მერიის სოციალური პროგრამები.

მერია ბიუჯეტიდან აფინანსებს 2 სოციალურ პროგრამას.

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ფენისთვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა.

თანხა 44 228 ლარი . 1 ბენეფიციარის ხარჯი 2,81 ლარი. 43 ბენეფიციარი

სოციალური სასდილო მდებარეობს მერიის შენობის 1 დამატებით სართულზე,

აუდიტის პროცესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ნათლად ჩანს, რომ ობიექტზე დარღვეულია საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესები

არ აქვთ სტელაჟები სადაც უნდა განთავსდეს ჭურჭელი, სხვადასხვა პროდუქტები პური, ბრინჯი, შაქარი და სხვა. პროდუქტები განლაგებული აქვთ იატაკზე, თეფშები და სხვა საჭირო ჭურჭლები ნაცვლად სპეციალურ თაროებისა და სტელაჟებისა ჩალაგებული აქვთ ლითონის ქვაბში და დევს იატაკზე.

სამზარეულოს სუფთა ჭურჭელსა და ინვენტარს უნდა ინახავენ სტელაჟებზე იატაკიდან არანაკლებ 0,5მ სიმაღლეზე, სასადილო ჭურჭელს უნდა ინახავენ დახურულ კარადაში ან თაროებზე. სუფთა სასადილო მოწყობილობებს უნდა ინახავენ დარბაზებში

სპეციალურ უჯრებში ან კასეტისმაგვარ ყუთებში სახელურებით ზემოთ. მათი შენახვა ლანგრებზე დაყრილი სახით დაუშვებელია. სასადილო მოწყობილობების კასეტების სანიტარიული დამუშავება უნდა წარმოებდეს ყოველდღიურად.
კარტოფილი და სხვა ბოლქვოვანი უნდა ინახებოდეს მშრალ, ბნელ სათავსებში; კომბოსტო განცალკევებულ სტელაჟებზე, სკივრებში.

პროდუქტები უნდა ინახებოდეს დადგენილი კლასიფიკაციისა და მათი სახეობის მიხედვით: მშრალი (ფქვილი, შაქარი, ბურღულეული, მაკარონის ნაწარმი და სხვ.); პური; ხორცი, თევზეული; რძე, ცხიმები; გასტრონომიული; ბოსტნეული და ხილი. ნედლი და მზა პროდუქტები უნდა ინახებოდეს სხვადასხვა მაცივარში. საკვები პროდუქტების შენახვისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული მათი გვერდიგვერდ განთავსების წესები, ნორმები, ვარგისიანობის ვადები და შენახვის პირობები.

პური უნდა ინახებოდეს სტელაჟებზე, კარადებში. პურის შესანახად რეკომენდებულია ცალკე საკუჭნაოს გამოყოფა. ჭვავისა და ხორბლის პური ინახება განცალკევებით. პურის კარადის კარებს უნდა ჰქონდეს სავენტილაციო ღიობები. კარადების დალაგებისას თაროებიდან ნამცეცები უნდა გამოიხვეტოს სპეციალური ჯაგრისით და კვირაში არანაკლებ ერთხელ გულდასმით გაიწმინდოს 1%-იანი ძმარმჟავას ხსნარის გამოყენებით.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიდან მეწარმის მიერ არც ერთი პირობა არ სრულდება.

რეკომენდაცია

მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა ვისაც ევალება პროგრამის ზედამხედველობა, კონტროლი გაუწიოს რათა აღნიშნული პროგრამა განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N281/ნ საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოწყობისა, აღჭურვის და ექსპლოატაციის სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ სრული დაცვით.

1. **მიუსაფარი ცხოველების გაუვნებლობის მომსახურეობა**

ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან უმეთვალყურეო უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერა ტრანსპორტირება, სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია, დაბირკვა და თავშესაფარი (ვეტერინალური კლინიკა) გადაყვანა მოვლა პატრონობის მიზნით. გასტერილებური ცხოველების (ჯანმრთელი ცხოველი) ბუნებრივ არეალში დაბრუნება.

წინა წლებში პროგრამა მუშაობდა და გარკვეულად დადებითი ეფექტიც ქონდა კერძოდ უპატრონო ცხოველების სიმცირე 2018 წელი გადაყვანილი იქნა 246. ხელშეკრულების ღირებულებაა 18450 ლარი ერთეულის ფასი 75 ლარი. 2019 წელს გადაყვანილი იქნა 225 ხელშეკრულების ღირებულება 18 000 ლარი ერთეულის ფასი 80 ლარი. 2020 წელს გადაყვანილი იქნა 155 ძაღლი. ხელშეკრულების ღირებულება 12 400

ლარი ერთეულის ფასი 80 ლარი, 2021 წელ გადაყვანილი იქნა 150 ძაღლი. ხელშეკრულების ღირებულება 12 000 ლარი. ერთეულის გადაყვანის ფასი 80 ლარი

2022 წელს მიუსაფარი ცხოველების გაუვნებლობის მომსახურეობზე გამოცხადდა სახელმწიფო შესყიდვა მაგრამ შესყიდვა არ შედგა, რამაც შესაძლოა გამოიწვია უმეთვალყურო უპატრონო ცხოველების მატება, მოსახლეობასთან გამოკითხვით დგინდება რომ აღნიშნული ფაქტი შეესაბამება სიმართლეს, არის ძაღლების მიერ მოქალაქეების დაკბენის ფაქტებიც, ღამის საათებში მოსახლეობის გადაადგილება გარკვეულ ლოკაციებზე საფრთხის შემცველია, საჭიროა მერიამ დროულად განახორციელოს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული ფაქტების აღმოსაფხვრელად.

რატომ არ შედგა შესყიდვა? შესაძლებელია მიუსაფარი ცხოველების გაუვნებლობის მომსახურეობაზე სახელმწიფო შესყიდვაზე გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი, რამაც გამოიწვია სახელმწიფო შესყიდვის ჩავარდნა.

რეკომენდაცია:

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ მიუსაფარი ცხოველების გაუვნებლობის მომსახურეობის შესყიდვისათვის განახორციელოს ბაზრის კვლევა, გაითვალისწინოს ბაზრის კვლევის შედეგები რაც შესაძლოა აღარ გამოიწვევს მუნიციპალური პროგრამის ჩავარდნის რისკს.

ინფრასტრუქტურული პროექტები

1. **საბაგიროს რეაბილიტაცია.** საბაგიროს რეაბილიტაცია განხორციელდა 2021 წელს, სახელშეკრულებო ღირებულება 124000 ლარი, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე მეწარმეს უნდა მოეხდინა საბაგიროს შენობაზე არსებული ფასადის ქვის ფილების დემონტაჟი, სახურავის დემონტაჟი და დაესაწყობებინა. დემონტაჟის შედეგად დასაწყობებული აქტივები მერიის მიერ გარკვეული ნაწილი გადაეცა სოციალურად დაუცველ ხულოს მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, ნაწილი დასაწყობებულია, მოქალაქეებზე გაცემულ ნაწილზე არავითარი დოკუმენტაცია არ არის, საჭირო იყო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება რაც არ არის წარმოდგენილი.

2. **გელაძეების ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა**

სახელშეკრულებო ღირებულება 97 547.83 ლარი.

3. **პაქსაძეების ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა.**

სახელშეკრულებო ღირებულება 107 549,48 ლარი.

ტერიტორია სადაც უნდა განხორციელებულიყო პაქსაძეების და გელაძეების ადმინისტრაციული სახლების მშენებლობა, მდებარეობდა ხის შენობა რომელიც მერიის

ბალანსზე იმყოფებოდა, შენობა დაიშალა და დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალები ვერ მინახა.

შენობები რომლის დემონტაჟიც განხორციელდა საბალანსო ღირებულება აღარ გააჩნდა, ბალანსგარეშე აქტივი, მაგრამ ძირითადი აქტივი ჯერ უნდა ჩამოწერილიყო, მომხდარიყო მისი შეფასება, განხორციელებულიყო მისი განკარგვა კერძოდ: აუქციონის წესით გაყიდვა ან საკრებულოს გადაწყვეტილებით სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე გადაცემა კანონმდებლობის შესაბამისად და მშენებლობაც მაშინ დაგემილიყო.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, რიგ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის მერია არ ითვალისწინებს ლოკაციებზე არსებული (შენობა ნაგებობები) ბალანსიდან ჩამოწერის პროცედურებს

რეკომენდაცია:

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს, განსახორციელებელ ლოკაციაზე არსებული აქტივები (შენობა-ნაგებობები და სხვა) რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს გათვალისწინებული იქნას ჩამოწერის და ქონების მართვის ყველა შესაბამის საკანონმდებლო პროცედურები.

მერიის საინვენტარიზაციო კომისიამ დროულად მოახდინოს იმ აქტივების ჩამოწერა, რომელიც შემდგომ აღარ გახდება ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის განხორციელებისათვის ხელის შემშლელი პირობა.

მუნიციპალიტეტის აქტივების დოკუმენტირება და დაცულობა

1. საბაგიროს რეაბილიტაცია. საბაგიროს რეაბილიტაცია განხორციელდა 2021 წელს, სახელშეკრულებო ღირებულება 124000 ლარი, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე მეწარმეს უნდა მოეხდინა საბაგიროს შენობაზე არსებული ფასადის ქვის ფილების დემონტაჟი, სახურავის დემონტაჟი და დაესაწყობებინა. დემონტაჟის შედეგად დასაწყობებული აქტივები მერიის მიერ გარკვეული ნაწილი გადაეცა სოციალურად დაუცველ ხულოს მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, ნაწილი დასაწყობებულია, მოქალაქეებზე გაცემულ ნაწილზე არავითარი დოკუმენტაცია არ არის, საჭირო იყო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება რაც არ არის წარმოდგენილი.

2. მუნიციპალიტეტის მერია სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხის ნაწილით ახორციელებს მატერიალური მარაგების-აქტივებს შეძენას, რომელსაც მოითხოვს თემების მოსახლეობა, მათზე გამოყოფილი თანხით, როგორიცაა წყლის მილები,

რომელიც უნდა მოხმარდეს თემის მოსახლეობას წყლის მოყვანის მიზნით, ამ მიმართულებთ შეძენილია

2021 წელს ეძენილია 253 730 მეტრი წყლის მილები, მაგრამ დღესაც გარკვეულ თემებში ჯერ კიდევ არაა გაცემული აღნიშნული წყლის მილები, ხოლო გაცემულ მილებზე გარკვეულ ნაწილზე არაა წარმოდგენილი მიღება ჩაბარების აქტები.

მატერიალური მარაგები

ტერიტორიული ერთეული	პასუხისმგებელი პირი	2021 წელში მიღებული მატერიალური მარაგები	რაოდენობა (მეტრი)	გახარჯვა (მეტრი)	ნაშთი (მეტრი)
ვაშლოვანის ადმინისტრაციული ერთეული	ბესიკ რიჟვაძე	წყლის მილი	24350	19350	5000
ღორჯომის ადმინისტრაციული ერთეული	ჯემალ ბერიძე	წყლის მილი	31900	31900	0
აგარის ადმინისტრაციული ერთეული	ბეჟან მიქელაძე	წყლის მილი	2900	2900	0
ფუშრუკაულის ადმინისტრაციული ერთეული	ზვიად აბაშიძე	წყლის მილი	10550	0	0
საციხურის ადმინისტრაციული ერთეული	თემურ მგელაძე	წყლის მილი	11350	1350	10000

დიდაჭარის ადმინისტრაციული ერთეული	მამია შავაძე	წყლის მილი	17700	11300	6400
რიყეთის ადმინისტრაციული ერთეული	გოჩა შანთაძე	წყლის მილი	18050	14550	3500
დეკანაშვილების ადმინისტრაციული ერთეული	ბიჭიკო შანთაძე	წყლის მილი	65020	63020	2000
სხალთის ადმინისტრაციული ერთეული	რაულ მახარაძე	წყლის მილი	39350	38450	900
დიოკნისის ადმინისტრაციული ერთეული	გურამ კახაძე	წყლის მილი	18460	18460	0
დაბის ადმინისტრაციული ერთეული	ლერი თავართქილაძე	წყლის მილი	2500	2500	2500
ხიხაძირის ადმინისტრაციული ერთეული	გურამ ხალვაში	წყლის მილი	7800	7800	0
თხილვანის ადმინისტრაციული ერთეული	მამუკა ქამაშიძე	წყლის მილი	3800	3800	0
			253730		

2021 წლის ბოლო მონაცემებით ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ირიცხება 110 106 ლარის მატერიალური მარაგები, (გოფრირებული მილები, პლასტმასის მილები, ფოლადის მილი და სხვა), მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წელსა და წინა წლებშია შეძენილი. აქტივები არ არის ჩამოწერილი, ზოგი მატერიალური მარაგები ჯერ კიდე არაა განაწილებული.

მოსაზრება:

არ განხორციელდეს ისეთი აქტივების და მატერიალური მარაგების შეძენა რომელიც სოფლის მოსახლეობას შესყიდვის პერიოდის ვადაში არ ესაჭიროება. თანხა გაიხარჯოს ისეთ აქტივებისათვის და მატერიალური მარაგებისათვის, რომელიც შესყიდვის პერიოდში მოხდება მისი გამოყენება მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

რეკომენდაცია

მუნიციპალიტეტის მერიმ მუნიციპალური ქონების დაცულობისათვის გაუწიოს კონტროლი მატერიალური მარაგების გაცემას, დოკუმენტირებასა და ჩამოწერაზე.

მემორანდუმი

დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ მიღებული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ახსნა განმარტება რაიმე საკითხის შესახებ.

მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსთა ასოციაციასა“ და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიას შორის, გაფორმდა 2021 წლის 2 თებერვალს. მემორანდუმში ხულოს მერია წარმოდგენილია როგორც ასოციაციის კორპორატიული წევრი, მერიის როგორც წევრის მიერ გადახდილია საწევრო შენატანი 15 000 ლარის ოდენობით, ასოციაცია მემურანდუმის საფუძველზე კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურეობა, გაუწიოს დახმარება კორპორატიულ წევრს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების აღრიცხვიანობის მოწესრიგებაში, გაუწიოს დახმარება კორპორატიულ წევრს ბიუჯეტის ფორმირებისას, რათა აღნიშნული პროცესი წარიმართოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და აღიარებული სტანდარტების მიხედვით და სხვა სახის საკანონმდებლო სახის ინფორმაციით უზრუნველყოფა.

პირობითი მოსაზრება

კანონმდებლობით დადგენილი წესები, აღიარებული სტანდარტები, ფინასური საკანონმდებლო ცვლილებები და სიახლეები შესაძლებელია მოპოვებული და მოძიებული იქნეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ველში რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომი ნებისმიერი საჯარო დაწესებულებასა მოხელისათვის.

მერიის მიერ მემორანდუმის გაფორმების საჭიროება განპირობებულია საფინასო დოკუმენტაციების შედგენისას ხარვეზების დაშვების ალბათობაზე, რისკების არიდების მიზნით.

მუნიციპალიტეტის მერია სისტემატიურად ახორციელებს თანამშრომელთა მივლინებას სწავლება-ტრენინგებზე სხვადსხვა მიმართულებით, რომელთაგან ასევე იყო საფინანსო მიმართულებით ბიუჯეტის ფორმირებაზე და სხვა ფინასურ საკითხებზე,

რომლის შემდგომ სავარაუდოდ შესაძლებელია მერიამ თავი აარიდოს საჭირო დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა საფინანსო დოკუმენტაციის შესადგენად.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით უზრუნველყოს სამსახურების თანამშრომელთა მივლინება ტრენინგებზე, ან მოიწვიოს ტრენერ პედაგოგები, რომლის შემდგომ მუნიციპალიტეტის მერიას აღარ მოუწევს დამატებითი თანხების ხარჯვა.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის
სამსახურის უფროსი / ზვიად თავართქილაძე/

მთავარი სპეციალისტი / სოფიკო ქონიაძე /